DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

სარჩევი

დაგეგმილი ღონისძიებები 2
ჩატარებული ღონისძიებები 4
წევრთა სიახლეები 5
საახალწლო შეთავაზებები 8

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება გილოცავთ შობა - ახალ წელს

იცოდით, რომ...?

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) სენიორ ექსპერტთა სერვისის (SES) ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში.

SES გერმანიაში ექსპერტთა ნებაყოფლობით საქმიანობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს გერმანელი ექსპერტების ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას მსოფლიოს 90-ზე მეტი განვითარებადი ქვეყნისთვის.

2013 წლიდან დღემდე, DWV-ს ჩართულობით, 350-ზე მეტმა ქართულმა კომპანიამ დაარეგისტრირა განაცხადი ექსპერტის მოწვევაზე და განხორციელდა 198 პროექტი.

DWV ნებისმიერ დროს მზად არის, კონსულტაცია გაუწიოს გერმანელი ექსპერტების მოწვევით დაინტერესებულ კომპანიებსა და ორგანიზაციებს.

ოფიციალური წარმომადგენლობა

messe frankfurt

SES Senior Experten Service DER WELT EXPERTEN DIENST

FRUIT LOGISTICA

Senior Experten Service
მარია ბრეგაძე
maria.bregadze@dwv.ge

Messe Frankfurt und Fruit Logistica
ვატო კასრაძე
vato.kasradze@dwv.ge

თანამშრომლობა

GTAI GERMANY TRADE & INVEST

DIHK Deutscher Industrie- und Handelskammertag

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

კონტაქტი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
თომას კიმმესვენგერი
+995 32 220 5767
thomas.kimmeswenger@dwv.ge

HiPP Das Beste aus der Natur. Das Beste für die Natur.

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV-ტრენინგი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) და შვეიცარიული ფონდი BPN Georgia გიწვევთ ერთობლივ ვებინარზე: "**როგორ მოვიზიდოთ ინვესტორები**".

მიზნები:
ეძებთ ინვესტორს და არ იცით, სად და როგორ მოიზიდოთ ის, ან როგორ ააგოთ მასთან ნდობაზე დაფუძნებული გრძელვადიანი ურთიერთობა?
როცა იცით, რას აქცევს ყურადღებას ინვესტორი, კომპანიის სტრატეგიის ჩამოყალიბებისას და ფინანსური საკითხების განხილვისას ითვალისწინებთ მის მოლოდინებს და მოთხოვნილებებს.
ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე საკუთარ გამოცდილებას გაგიზიარებთ ინვესტორი და კომპანიის მმართველი - **ქრისტოფ ნიფელერი**. ის ხშირად გვევლინება როგორც ინვესტორის, ისე ინვესტიციების მაძიებლის როლში.

შინაარსი:
ორი შეხვედრა დაეთმობა კომპანია «Swiss Malting Ltd.»–ის მაგალითის განხილვას, რომელიც ალაოს ყველაზე მსხვილი მწარმოებელი კონცერნია შვეიცარიაში. მაგალითებზე დაყრდნობით, მომხსენებელი მოგცემთ რჩევებს, თუ როგორ უნდა ჩამოაყალიბოთ ინვესტორის ინტერესებზე მორგებული ფინანსური მოდელი (Financial Business Model), საინვესტიციო შემოსავლების მაჩვენებლები და ფინანსური ანგარიშგება.

ფორმა: თეორიული ნაწილი, შვეიცარიული პრაქტიკული მაგალითები, კითხვა-პასუხი;
ღირებულება: 100 ლარი (დღგ-ს ჩათვლით).
ტრენინგის დასრულების შემდეგ გაიცემა **სერტიფიკატები.**
მსურველებს გთხოვთ, 2023 წლის **27 იანვრის ჩათვლით** დარეგისტრირდეთ **ბმულზე**.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: medea.kvantaliani@dwv.ge.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV - Get Together

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გიწვევთ DWV-ს მორიგ "Get Together" ღონისძიებაზე:

ოთხშაბათს, 18 იანვარს, 18:00 საათიდან.
მისამართი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას!

თქვენი DWV.

FRUIT LOGISTICA 2023

წარმატებული რესტარტის შემდეგ, მსოფლიოში წამყვანი ხილით ვაჭრობის გამოფენა, **FRUIT LOGISTICA**, 2023 წლის 8-10 თებერვალს ხილის ინდუსტრიაში მოქმედი მსხვილი მყიდველებისა და ვიზიტორების ყველაზე ფართომასშტაბიან ღონისძიებას ქალაქ ბერლინში გამართავს.
განურჩევლად იმისა, FRUIT LOGISTICA-ს პირველად სტუმრობთ თუ განმეორებით, ჩვენ მოუთმენლად ველით თქვენს მონაწილეობას!
ყველა ინფორმაცია ღონისძიების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ **ბმულზე.**

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV-ბიზნეს ფორუმი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების ორგანიზებით, 12 დეკემბერს სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" გაიმართა ბიზნეს ფორუმი მსოფლიო ბანკთან.

ფორუმის მთავარმა სტუმარმა, მსოფლიო ბანკის რეგიონალურმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, ბატონმა სებასტიან მოლინეუსმა, წარადგინა მოხსენება თემაზე: "**მსოფლიო ბანკის საქმიანობა საქართველოში, მიმდინარე პროექტები და პროგნოზები**".

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლად დანიშნულმა ელჩმა საქართველოში, ბატონმა პიტერ ფიშერმა, თავი წარუდგინა ჩვენს წევრებს და მოკლედ მიმოიხილა არსებული ვითარება.

ღონისძიებას წარუძღვა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი დოქ. საშა ტერნესი.

ფორუმზე სიტყვით გამოვიდა ჩვენი წევრი პროკრედიტ ბანკის გენერალური დირექტორი, ბატონი ალექს მატუა. მან აქცენტები გააკეთა ევროპული ბანკის ხედვებზე, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. მან, ასევე, ისაუბრა ბანკისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან გარემოსდაცვით საკითხებზე და სტუმრებს გაუზიარა ინფორმაცია მიმდინარე ეკო კამპანიის, #შეცვალე-ს, შესახებ.
აღსანიშნავია, რომ ფორუმი სწორედ პროკრედიტ ბანკის დაფინანსებით ჩატარდა, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით.

ღონისძიების ბოლოს მონაწილეებმა მომხსენებლებს ძალიან საინტერესო შეკითხვები დაუსვეს და დამატებითი ინფორმაცია მიიღეს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ფორუმის დასასრულს მონაწილეებმა ერთმანეთთან კომუნიკაცია არაფორმალურ გარემოშიც შეძლეს.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV - Get Together

ოთხშაბათს, 14 დეკემბერს, ჩვენი მორიგი ტრადიციული "Get Together" ღონისძიება ავსტრიულ რესტორანში **„Food Seasons"** გაიმართა.

სტუმრებს ადგილზე დახვდათ უგემრიელესი გლინტვეინი და მენიუ სპეციალურ ფასად.
რესტორანი ყველა მონაწილეს გლინტვეინის პირველ ჭიქაზე უფასოდ გაუმასპინძლდა.

სიხარულით გელით ჩვენს მომდევნო ღონისძიებაზე!

წევრთა სიახლეები

Gvinadze & Partners მხარს უჭერს ADB-ს საქართველოს სახელმწიფო კომპანიების კორპორატიული მმართველობის გაძლიერებაში

Gvinadze & Partners სიხარულით აგრძელებს აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერას საქართველოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და კორპორატიული მართვის გაუმჯობესებაში. ADB-მა ახლახან დაამტკიცა 100 მლნ აშშ დოლარის სესხი, საქართველოს ფისკალური, კაპიტალის ბაზრებისა და საპენსიო სისტემის რეფორმების გაღრმავების მიზნით. ფისკალური მდგრადობისა და სოციალური დაცვის მხარდაჭერის პროგრამის მეორე ქვეპროგრამა ეფუძნება 2020 წელს დამტკიცებული პირველი ქვეპროგრამის მიღწევებს, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს მაკროეკონომიკური მდგრადობის გაუმჯობესებას COVID-19 პანდემიის დროს. ADB-ის მეორე ქვეპროგრამა მხარს უჭერს პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი საფრთხეებისა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული კატასტროფებით გამოწვეული ფისკალური რისკებისა და სუსტი კორპორაციული მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესებას.
დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ **ბმულს**.

საქართველო ADB-ს შეუერთდა 2007 წელს და მას შემდეგ ბანკი გადაიქცა ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს, მრავალმხრივი განვითარების პარტნიორად. სესხები 3,92 მილიარდი დოლარია, ტექნიკური დახმარების პროექტები კი 28,9 მილიონი აშშ დოლარია.

Gvinadze & Partners არის ერთ-ერთი წამყვანი ბიზნეს იურიდიული ფირმა საქართველოში. მას აქვს საქართველოში უცხოური ინვესტიციების მომსახურებისა და ხელშეწყობის თითქმის სამი ათწლეულის წარმატებული ისტორია და ფართოდ არის აღიარებული, როგორც იურიდიული მომსახურების უმაღლესი ხარისხის მიმწოდებელი საქართველოში.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

Nexia TA აკადემიის მასშტაბური საგადასახადო კონფერენცია

1-ელ დეკემბერს, სასტუმრო *Pullman Tbilisi Axis Towers*-ში **Nexia TA** აკადემიის მასშტაბური საგადასახადო კონფერენცია გაიმართა, რომლის ფარგლებშიც **Nexia TA**-ის საგადასახადო ექსპერტებმა მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს საგადასახადო სიახლეების, ცვლილებებისა და პრობლემური საკითხების გადაჭრის გზებზე საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება გაუზიარეს.

სპიკერები:

- გელა მღებრიშვილი - **Nexia TA**-ის მმართველი პარტნიორი და, ამავდროულად, საგადასახადო მიმართულების ხელმძღვანელი, ასევე, აკადემიის ტრენერი;
- დავით მამრიკიშვილი - **Nexia TA**-ის მმართველი პარტნიორი, საგადასახადო დეპარტამენტის დირექტორი, SARAS-ისა და IFRS Foundation-ის ტრენერთა გადამზადების პროგრამის სერტიფიცირებული ტრენერი;
- დავით ორჯონიკიძე - **Nexia TA**-ის უფროსი საგადასახადო მენეჯერი;
- დავით კანდელაკი -**Nexia TA**-ის უფროსი საგადასახადო მენეჯერი;
- ვალერი უგულავა - **Nexia TA**-ის საგადასახადო აუდიტის მენეჯერი;
- შოთა კუპატაძე - **Nexia TA**-ის საგადასახადო აუდიტის მენეჯერი.

კონფერენციაზე განხილულ იქნა ისეთი აქტუალური თემები, როგორებიცაა: "შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული მეთოდური მითითებები და საერთაშორისო დაბეგვრის საკითხები"; "2022 წელს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების ანალიზი და სიტუაციური სახელმძღვანელოები"; "საგადასახადო შემოწმებასა და დავის წარმოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები"; "მცირე მეწარმეები, ბიზნესის არსებული პრობლემები და გამოწვევები"; "შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული მეთოდური მითითებები"; "ბარტერული (გაცვლის) ოპერაციების საგადასახადო საკითხები".

პროკრედიტ ბანკის მხარდაჭერით, ქართული ბიოფარმაცევტული კომპანია „ბიოქიმფარმის“ ბაქტერიოფაგების მაღალტექნოლოგიური ენერგოეფექტური საწარმო გაიხსნა

პროექტი ევროკავშირთან თანამშრომლობით, EBRD-ის, FAO-სა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მონაწილეობით განხორციელდა. საწარმო სრულად GMP გაიდლაინებით აღიჭურვა და პროექტის საინვესტიციო ღირებულებამ 17,5 მლნ ლარი შეადგინა.

სიხარულით გაცნობებთ, რომ ჩვენი წევრი სადაზღვევო კომპანია **იმედი L** *Global Banking & Finance Awards 2022*-ის გამარჯვებული გახდა ნომინაციაში: "საუკეთესო კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევა საქართველოში".

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

BANK OF GEORGIA BUSINESS

საქართველოს ბანკის მხარდაჭერით, „ეკონომიკური ფორუმის“ ფარგლებში, მორიგი დისკუსია გაიმართა

საქართველოს ბანკისა და ანალიტიკურ ცენტრ *GeoCase*-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 12 დეკემბერს „ეკონომიკური ფორუმის“ მორიგი დისკუსია გაიმართა.
შეხვედრის მთავარი თემა იყო „შუა დერეფნის მნიშვნელობა და საქართველოს როლი“, სადაც განიხილეს საქართველოს ახალი როლი ევროპასა და აზიას შორის სატრანსპორტო, ლოგისტიკური, ენერგეტიკული და ციფრული კავშირების მიმართულებით.

საქართველოს ბანკისა და EBRD-ის დახმარებით, კომპანია დეილი 50 ახალ ფილიალს გახსნის

საქართველოს ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დახმარებით, მაღაზიების ქსელი Daily 2023 წლის ბოლომდე 50 ახალ მაღაზიას გახსნის.
პროექტის ჯამური ღირებულება 11 მლნ ლარს აღემატება, რაც სრულად ახალი მაღაზიების გახსნას მოხმარდება.
აღსანიშნავია, რომ Daily 2013 წლიდან ფუნქციონირებს და ჯამში 158 ფილიალს აერთიანებს, აქედან 1 მაღაზია თბილისშია, 16 - აღმოსავლეთ, ხოლო 141 - დასავლეთ საქართველოში.

TBC BANK

თეგეტა ჰოლდინგის უპრეცედენტო ემისია – კომპანიამ, თიბისი კაპიტალის მხარდაჭერით, 150 მილიონი ლარის ობლიგაციები გამოუშვა

Tegeta Holding-მა (ავტომობილების რეალიზაცია-მომსახურება) 150 მლნ ლარის ობლიგაციები გამოუშვა. ეს ლარში დენომინირებული კორპორაციული ობლიგაციების ყველაზე დიდი ემისიაა. მობილიზებული სახსრები სრულად მოხმარდება სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებას.
აღსანიშნავია, რომ ემისია *TBC Capital*-ის მხარდაჭერით განხორციელდა, განთავსების იურიდიული მრჩეველი კი *BLC Law* იყო.

თიბისის მხარდაჭერით, ბათუმში კიდევ ერთი სასტუმრო "მონარქი" აშენდა

ბათუმის ისტორიულ ნაწილში მდებარე სასტუმრო "მონარქი" მიმდინარე წლის ივნისში გაიხსნა. შენობა *Ins Group*-მა 2020 წელს TBC ბანკის დახმარებით შეისყიდა.
4-ვარსკვლავიან, 66-ნომრიან სასტუმროში, *Ins Group*-მა 12 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

საახალწლო შეთავაზებები

20%-იანი ფასდაკლება DWV-ის წევრებს კორპორატიულ წვეულებასა და ოთახის ჯავშანზე სასტუმრო Golden Tulip Design Tbilisi-სგან

რესტორანი TITA გთავაზობთ:

- თბილისის თვალწარმტაც პანორამულ ხედს;
- ყველანაირ გემოვნებაზე მორგებულ საერთაშორისო და ადგილობრივ გემოებს;
- ადგილობრივი ინგრედიენტების ნაზავითა და მიქსოლოგიის მაგიით მომზადებულ წარმოუდგენლად გემრიელ კოქტეილებს.

სასტუმრო თბილ სტუმართმოყვარეობას აერთიანებს სასიამოვნო გარემოსთან და თანამედროვე სტილთან, რათა თქვენი დასვენება დაუვიწყარი გახადოს.

თითოეული ოთახი ხელით არის მოხატული ადგილობრივი მხატვრების მიერ, რომელთა ნამუშევრები საქართველოს შესახებ უნიკალურ ამბებს მოგვითხრობს.

ოთახები აღჭურვილია ინოვაციური პლანშეტებით, რომლებიც ონლაინ კონსიერჟის პლატფორმის მეშვეობით პერსონალური ციფრული ასისტენტის როლს ასრულებენ.

სასტუმროს განწყობის განათების კონცეფცია კი საშუალებას გაძლევთ, შეცვალოთ ოთახის განათების ფერი თქვენი განწყობის მიხედვით.



Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

Pullman Tbilisi Axis Towers-ის შეთავაზება DWV-ის წევრებს ახალი წლის ღამის ღონისძიებებზე

სასტუმრო Pullman Tbilisi Axis Towers ახალი წლის ღამეს შეთავაზებების სხვადასხვა პაკეტს გთავაზობთ.

თქვენ შეგიძლიათ ახალ წელს შეხვდეთ, რესტორანში "ფალესტრა", ქართულ სუფრაზე, და დაესწროთ სერონისა და სხვა დიჯეების შოუს სასტუმროს ბოლრუმში. შოუზე დასწრება უფასოა.

ერთი ადამიანის ღირებულება 400 ლარია.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ადგილების რაოდენობა შეზღუდულია.

სასტუმრო ახალი წლის ღამეს გთავაზობთ განთავსებას და წვეულების ბილეთს სპეციალურ ფასად.

იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიებაზე დასწრება განთავსების გარეშე გსურთ, თქვენ მიიღებთ ღონისძიების სრულ საფასურზე 10%-იან ფასდაკლებას.

დასაჯავშნად მიმართეთ სასტუმროს:

+995 032 200 33 22
HA1F1@accor.com

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

სასტუმრო Biltmore Hotel Tbilisi-ს შეთავაზება DWV-ის წევრებს ახალი წლის ღამის ღონისძიებებზე

- წვეულებათა დარბაზ **„Ballroom"**-ში იგეგმება სპეციალური საახალწლო პროექტი **„თბილისური ეზო"**, ლეგენდარული ნანი ბრეგვაძისა და სუხისშვილების მონაწილეობით;
- სასტუმროს ბოლო სართულზე, **რესტორან ზიმში**, დაგხვდებათ მყუდრო გარემო ცოცხალი მუსიკის თანხლებით;
- 30-ე სართულზე მდებარე **ბარ ზიმში** კი დაგხვდებათ გასართობი პროგრამა შთამბეჭდავი სადღესასწაულო ფოიერვერკების ფონზე.

სასტუმრო ბილტმორ თბილისი 31 დეკემბერს 3 სხვადასხვა ტიპის საინტერესო ღონისძიებას გთავაზობთ:

დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ სასტუმროს:

+995 322 727272
info.bhtg@biltmorecollection.com